რედაქცია

განოვის ქუჩაზე, სტ. მელიქოვის და ამხ. სტამბაში, ამატუნის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „Дроэба“, при типографіи Меликова.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადი — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.


# დროება


გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანციზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.


## ხელის-მოწერა 1877 წლისა

მეთორმეტე წელიწადი გაზეთის არსებობისა

მომავალ 1877 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც წარსულს წლებში გამოდიოდა.

მომავალი წლიდამ „დროების“ რედაქციის შრომაში უფრო დახლოებულ მონაწილეობასა და შრომას მიიღებს ორი ჩვენი ნიჭიერი მწერალი-პუბლიცისტი: აკაკი წერეთელი და ნიკ. ნიკოლაძე.

ამათი და აგრეთვე სხვა თანამშრომლების დახმარებით, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ, რამდენათაც რედაქციისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მოგვცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, სასარგებლო და საჭირო გავხადოთ ჩვენი გაზეთი მკითხველი საზოგადოებისათვის

### ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (განოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნილება ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: *Въ Тифлисъ, въ Типографію Меликова.*

სხვა ქალაქებში „დროებაზე“ ხელის-მოწერა შემდეგ პირებთან შეიძლება:

ქუთაისში — სვ. მესხთან (სილაზე), ფოთში — თ. ანტ. ლაზ. ნაკაშიძესთან და ელ. გაბალოვთან, ახალ-სენაკს — ნიკ. დგებუაძესთან, ზუგდიდს — თ. ტარ. ალექ. დადიანთან, ოზურგეთს — ანტ. ჯაყელთან, ყვირილაში — მ. დავ. ლამბაშიძესთან, გორს — ალალო თუთაევთან, ახალციხეს იოსებ სულხანოვთან და თელავს — თ. ლევან ჯანდიერთან.

| გაზეთის ფასი — გაგზავნით და გაუგზავნელად | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წელიწადში . . . . . . . . . . . . . . | 8 | „ |
| ნახევარ წელიწადში . . . . . . . . . . . | 4 და | 50 |
| სამის თვისა . . . . . . . . . . . . . . | 2 და | 50 |
| ერთის თვისა . . . . . . . . . . . . . . | 1 — | „ |

აქვე საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება გარდა იმ პირებისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების“ აგენტები იკისრებენ.

ვთხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მომწერლებს, რომ თავიანთი მოთხოვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი ადრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით იყოს დაწერილი და ყოველთვის, როცა ადრესს გამოიცვლიან, დროზე შეატყობინონ ეს რედაქციას.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი

რედაქტორი ს. მესხი.

## განცხადება

ქალაქის თავი ამით აცნობებს თფილისის ვაჭრებსა, მესჩანებსა და ხელოსნებსა, რომ ისინი მოიწვევიან ქალაქის რჩევის ზალაში უფ. თფილისის ღუბერნატორის განკარგულების გამოსაცხადებელად შესახებ სავჭრო, სამესჩნო და სახელოსნო უპრავების შედგენისა. ვაჭრები უნდა გამოცხადდნენ ამ დეკემბრის 28-ს, მესჩანები 29-სდა ხელოსნები 30-ს.

## საქართველო

### დღიური

გაველილ ორშაბათის სხდომაზე ქალაქის რჩევამ გადაწყვიტა, რომ ქალაქის გამგეობამ თავის ყოველწლიური მოქმედების ანგარიში აპრილის განმავალობაში უნდა წარუდგინოს რჩევასაო.

შემდეგ ხანგრძლივი მოლაპარაკება და ბაასი შეიქნა ქალაქის სახელოსნო შკოლის წესდების პროექტზე, რომელიც რჩევას ამ საგნისათვის ცალკე დანიშნულმა კომისიამ შეადგინა და წარმოუდგინა. ეს პროექტი კომისიისა რჩევამ გვარიანად შელახა ისე, რომ იმის დამცველი უფ. გ. ს. ხატისოვი ხან-და-ხან ისეთს მდგომარეობაში იყო მობაასეთაგან ჩავარდნილი, რომ სიტყვის თქმაც კი უჭირდა და ძალა-უნებურად ეთანხმებოდა ყველაფერს, რასაც მოწინააღმდეგენი ეუბნებოდნენ. ამ სხდომაზე ოციოდე მუხლი გაარჩიეს პროექტისა; დანარჩენი მუხლების განხილვასაც ერთი ან ორი სხდომა მოუნდება.

*
* *

ერთი საზარელი ამბავი მივიღეთ ჩვენ ხევსურეთიდამ, რომლის სინამდვილეში, საუბედუროთ, ეჭვის შემოტანაც არ შეგვიძლიან; აი საქმე რაში მდგომარეობს:

გასულ ნოემბრის 15-ს ხევსურეთში გაუქურდავთ თიანეთის უეზდის სოფელს გუდანში საკერპო ხატი და გაუტანიათ რამდენიმე ნაჭერი ვერცხლის თასი. ხალხს სოფ. გუდანის მცხოვრებელ სულხანაურ და იმის ძმა ბაბო თუალექასშვილებზე შემოუტანიათ ეჭვი.

გუდანელებს ამაზედ ყრილობა მოუხდენიათ მოხელეების თანდასწრებითა და ერთხმად გადაუწყვეტიათ ბრალდებულების ჩაქოლვა ძველებურს ჩვეულებაზედ!

მართლაც ეს ორი ძმა კაცი — სულხანაური და ბაბო მიუყვანიათ, ხანჯლები მოუხსნიათ და ისე დაუხოცნიათ.

ამ საქმის მოთავენი ყოფილან მინდია ადეასშვილი, რომელსაც ხანჯალი უხმარნია, და სოფ. შიას მცხოვრებელნი ბერდია და იევანე ძმანი.

უფ. თიანეთის მაზრის უფროსს ამაზედ ბრძანება მიეწერა და ის ხევსურები დაებარებინა, რომელთაც თაობაზე ყოფილიყო ამათი დახოცვა. ჩამოსულიყვნენ თიანეთში და არც ეთქვათ უარი იმათ დახოცვაზედ. მხოლოთ ეს ეთქვათ უფ. უფროსისათვის: ჩვენ გვეგონა, მთავრობა მადლობას გვეტყოდა ამისთანა ქურდები რომ დავხოცეთო!...

*
* *

## ფელეტონი

### ორი თვე სამშობლოში

(ფიქრები, აზრები, შთაბეჭდილებანი)

—

როდესაც რამდენიმე წელიწადი ამას წინეთ მე ვესალმებოდი ჩემს მამულის ნაპირებს, ჩემს გულში სრულებითაც არა ჰქონია ალაგი იმ გრძნობას, რომელიც ათქმევინებდა ჩაილდ-ჰორალდს თავის მამულის გამოსასალმებელს სიმღერას. მე ჯერ პირველად ვესალმებოდი ჩემს სამშობლოს და მერე ვიყავ იმ ჟამში, როდესაც კაცს გრძნობაც უფრო ფიცხელი აქვს და გულიც უფრო ვრცელი და მოსიყვარულე. მე ჯერეთ არ მეგრძნო „ღელვანი ენებათანი“ და რა თქმა უნდა, რომ, როდესაც ფოთის ნაპირი ნელა-ნელა ფარებოდა გორახანებს და ბოლოს შეერთო ცის კამარას, ჩემს გულს დააწვა რაღაც გამოუთქმელი სევდა!...

*
* *

მრავალნი დღენი, მრავალნი თვენი და საკმაო წელიწადნიც გავიდნენ მას შემდეგ. სევდამ დაიწყო ნელა-ნელა შემსუბუქება; ახალმა საქმემ, ახალთა დარდთ და ვაებამ ჩანთქეს იგი. უშეელებელი რკინის ჩაქუჩი, განმანადგურებელი კაცის ყოველის წრფელის ზრუნვისა, არ მაძლევდა ნებას დავბრუნებულიყავ ჩემს სამშობლოში და გამეახლებინა შთაბეჭდილობანი ჩემი სიბოვშვისა....

ვინ არა ყოფილა ბოვშვი და არ გამოუვლია სიყმაწვილე? ვის არ ახსოვს ის უდარდელი და უზრუნველი დროება, რომლის შემდეგაც ყველა ქვა, ყველა ორღობე, ყველა ხე და კლდე, მომგონებელნი იმ სიყმაწვილისა, ხდებიან ჩვენთვის რაღაც წმინდანათ? მე ვკითხავ ამას უმეტესათ იმათ, რომელნიც მოჰშორებიან ამ სიყმაწვილის ალაგებს რამოდენიმე წელიწადით და ყოფილან გადასროლილნი სხვათა მხარეში, სხვათა ენაში, სხვათა ხალხთ შუა?...

*
* *

მეშველა....

მე არა ვარ პოეტი; არ შემიძლიან ავწერო ლამაზის სიტყვებით და რითმოვანის ლექსებით ის გრძნობა, რომელმაც დაიწყო თან-და-თან ფუფუნი და ღვიძილი ჩემს გულში, როდესაც მე უფრო-და-უფრო ვახლოვდებოდი ჩემს სამშობლოს. მე არავის არ ვეტყვი იმას, რაც მიჩურჩულა თეთრათ დახავსებულმა იალბუზმა; არავის არ ვაცნობებ იმ გმირულ სიმღერას, რომელსაც მღერს ცოფიანი თერგი, როდესაც ის გალომებული გადახტის ერთი ქვიდგან მეორეზედ და ისრის ზეცისკენ მარგალიტის წინწკლებს.

*
* *

საქართველო არის ჩემი მშობელი, ჩემი დედა, ძიძა, გამდელი, ლალა, და თავი მოამაგდარე კიდევ არის საწყალი, საბრალო და წყალ-წაღებული ქიზიყი.

იყო დრო, როდესაც ქიზიყი იყო გათქმული და ნათქვამი მთელ საქართველოში თავისის სიუხვით, უმეტესად პურისა, საქონლისა და ღვინისა....

იყო დრო, როდესაც ქიზიყი იყო გათქმული თავისის, ვითომც, სიმხეცით, მარამ აბა გაშინჯეთ ის ანდაზები, რომელნიც ითქმიან, როგორც დამტკიცებანი ამ სიმხეცისა. თქვენ დაინახავთ, რომ, მართალია, ქიზიყელს არა ჰქონია ურიული გაქნილობა და მოხერხება და ამისთვის ყველა მოხერხებული ატყუებდა მას, მარამ ამასთანავე დაინახამთ, რომ ეს მოტყუებული იმისთვის მოტყუებულა, რომ იმის ხასიათში უმეტესად

პიატიგორსკიდამ გვწერენ, რომ როსტოვ - ვლადიკავკაზის რკინის გზის გამგეობა ეს ორი თვე იქნებაო, რაც საქონელს აღარ ღებულობს და როგორც იმის, არც ამ ქრისტეშობისთვის განმავლობაში მიიღებენო. ამის გამო ყველაფერმა ფასი აიწია აქეთ მხარესო.

***

ერთს რუსულ გაზეთში სოჭიდამ იწერებიან, რომ შავი ზღვის ნაპირებიდამ, ნოვოროსიისკიდამ ფოთამდი, ხალხი სულ დაეხიზნაო. ქალები სულობით აღარ არიანო და კაცებიც მხოლოთ მოსამსახურე პირები დარჩნენო. ყველას შინაური მტრების—მთიულების ეშინიანო(?)...

***

ოზურგეთიდამ გვწერენ შემდეგ შემთხვევას:

„ამ დღეებში ერთი შესაწუხებელი საქმე მოხდა აქ:

„ერთს აქ მცხოვრებს აზნაურს წინა დღეებში ქურდები დაეცნენ და საქონელიც მოჰპარეს. მეორე ღამეს კიდევ მიუხტენ; შეიტყო მასპინძელმა და გაიქცნენ.

„ამ ხანებში ერთი ყმაწვილი, სოფლიდგან ჩამოსული ორი-სამი დღით, იმ ოჯახში დადიოდა ხან ვახშმათ, ხან საწოლათ, როგორც ნათესავი.

„ერთს ღამეს ვახშამს უკან მივიდა ყმაწვილი იმ ოჯახში; არ დაუძახნია, როგორც ამბობენ, უცებ აივანის კარი შეიხურაო. ამის ხმაზედ მასპინძელი თოფით შემოვიდა; ყმაწვილი ფანჯრიდამ იყურებოდა თურმე; ბნელოდა; მასპინძელმა დაუძახა: ვინ ხარო? მაგრამ, რადგან, პასუხი ვერ გაუგონია, გამოუნიშნა თოფი ფანჯრის პირ-და-პირ და გაისროლა, თუმცა არ ხედამდა, მარა ფეხის ხმაზედ. საწყალს ყმაწვილს მოხვედროდა გულში და იმავ მინუტში სული განუტევა!.

„სანთლით რომ დახედეს, იცნეს, რომ ის იყო მისი ნათესავი სტუმარი და მართალი ყმაწვილი; იძღენი იცა თავპირში და იტირა საწყალმა მოხუცმა თოფის მსროლელმა, რომ თითქმის თავ პირი გაიტეხა, მაგრამ საწყალს რაღა არგებდა?!“

***

იმ უბედური შემთხვევის თაობაზე, რომელიც ქუთაისის რკინის გზის სტანციაზე მოხდა ამ დღეებში, ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშნვა:

„თუმცა ბევრი ნაკლულევანება აქვს ამ ჩვენ ფოთი-ტფილისის რკინის გზას, მაგრამ მისი ნაკლულევანება იფარებოდა თითქმის იმით, რომ გახსნის შემდეგ ამ გზაზე თითქმის არავითარი უბედური შემთხვევა არ მომხდარა.

„პირველი უბედური შემთხვევა მოხდა ქუთაისის რკინის გზის სტანციის ზემოდამ ერთ ვერსზე. მეცხრე საათზე, ყვირილიდამ მიმავალი პასაჟირის მატარებელი დაეტაკა ამ ალაგას სტანციიდამ გამოქანებულ თვრამეტ შეშის ვაგონს. ეს მოხდა სამს ამ თვეს ღამით. აი საქმე როგორ იყო:

„ქუთაისის რკინის გზის სტანციის პირ-და-პირ იდგა თვრამეტი შეშის საზიდავი ვაგონი; სამტრედიის სტანციიდამ მოვიდა ერთი მატარებელი, რომელსაც მოჰქონდა თითქმის ოცდა-ათი ქვით დატვირთული ვაგონები. რიონის ხიდზე რომ გამოვიდა, ისე ჩქარა წამოვიდა, რომ თავი ვეღარ შეიკავა. თუმცა მაშინისტს ბევრი უძახეს გაჩერება, მაგრამ ვერ გაჩერდა და ეს მატარებელი გამოქანებული, სტანციის პირ-და-პირ რომ ვაგონები იდგნენ, იმას დაეტაკა და გამოაქანა ზემოთ. სტანციიდამ ეს თვრამეტი ვაგონი და ზემოდამ მატარებელი გაქანებული შეეხალენ ერთმანეთს. ერთი ისეთი ლეწა გახდა, რომ თითქმის ყველა პასაჟირებს ყურები დაგვიყრუვდა.

„შეიქნა ერთი ლაწა ლუწი და რახა-რუხი. ამას დაემატა პასაჟირების თავების რახა-რუხიც ვაგონების კედლებზე!

„მაშინა სულ დაიმტვრა. ერთი გამოქანებული ვაგონი ქვემოდამ მაშინის თავზე შევარდა. დამტვრეული მაშინიდამ შადრევანებივით დაიწყო წყალმა დენა. წყლის შხუილი რომ გავიგონეთ, გვეგონა თუ წყალში ჩავარდით და ყველამ გარეთ მივაშურეთ; ყველა კარისკენ ვეტანებოდით და ვერცერთი ვერ გავედით; ბოლოს გავედით, როგორც იქნა. ეს იყო პირ-და პირ ქუთაისის რკინის გზის სტანცი ს ზემოთ რომ ფოჩტის სტანცია არის.

„მოიტანეს სანთლები და რომ შევგეხედათ პასაჟირებისთვის, იტყოდით, ეს არის ეხლა დაბრუნებულან ჩხუბიდანო. მაშინისტი გაბრუებული თავ-გატეხილი და ხელ-მოტეხილი მკვდარ-ცოცხალი წაიყვანეს ქუთაისის ლოშპიტალში და სხვა თავ-გატეხილები და მრთელი პასაჟირები წავიდ-წამოვიდნენ. ბევრი შეუკურთხეს რკინის გზის მომგონს „ამოვარდეს მაგის მამგონი! დაექცეს მას სახლი და კარი! და სხვ.

„მესამე დღეს დავბრუნდი ქუთაისიდამ და ეს დამტვრეული მაშინა დავათვალიერე. ამ დროს მოვიდნენ რკინის გზის უფროსები, რომელნიც მაშინას შინჯავდნენ და თან იცინოდნენ: „აბა თავების რახა-რუხი და გვერდების მტვრევა იქნებოდაო!“ დარწმუნდით, რომ მასხარობის მეტი მაინც არა გამოვარა ამ საქმიდამ!

„ისე გონივრულათ ნაკეთები იყო რკინის გზა, რომ ისიც გაფუჭდა და ჩვენი შოსსეს გზებიც სულ წაგვიხდინა. ამბობენ, რომ, თუ რკინის გზის მიზეზით შოსსეს გზა წახდა კამპანიამ უნდა გააკეთოსო. მაგრამ ამ წამხდარ გზას ისევ ჩვენ გლეხკაცებს აკეთებინებენ თავისი დამტვრეული თოხებით. მიკვირს ძრიელ, თუ წინეთ, ინჟინერების ხელში ასი ათას მანეთობით იხარჯებოდა ფულები შოსეს გზისათვის, რატომ ეხლა ას მანეთობით მაინც არ იხარჯება? თუ ფულს არ დახარჯამენ ნიჩბები და თოხები მაინც რატომ არ ეძლევა გლეხებს?

„ხიდები აღარ არის, გზები სულ გაოხრდა. გამოჰყავთ გლეხები და უპლანოთ და უაზროთ აკეთებინებენ იმისთანა გზებს, რომელიც რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ ფუჭდება...“

***

სხვა უბედურებასთან [illegible] დღეებში წყალ-დიდობამ [illegible], რომელსაც ჩვენი იქაური კორრესპონდენტი ასე აგვიწერს:

„4-ს ამ თვეს, მეხუთე საათზედ, ღამე, უცეფ მოიმატა მდინარე პაპარჭინამ და გადმოვიდა დამბაზედ ისე, რომ თითქმის ნახევარ ფოთის ქუჩები მთლათ გაიმსო წყლითა.

„რამოდენიმე ქუჩაში მახლობლათ პაპარჭინისა დადიოდნენ ნავებით; სახლები კიდრე ბალკონამდინ წყალში იდგა. საბრალო ქალები თუ ყმაწვილები ჩიტის ბარტყებივით ფანჯრებიდამ იყურებოდნენ და თითო ნავიც კარებთან ება ყოველი შემთხვევისათვის.

„მე თვითონ ორის ამხანაგით ჩავჯექი ნავში და ვიცურვეთ პაპარჭინის ქუჩაზე; რა მოვედით პაპარჭინის პირზედ, ერთი უბედურობის ხმა და ყვირილი შემოგვესმა პაპარჭინის ნაპირზედ მცხოვრებლებისაგან: ვისთვის შეშა მოეტაცნა წყალს, ვისთვის ხეები და ფიცრები და სხვა საშენებელი მასალები. ეს საწყალი ხე-ტყის მოვაჭრები მთლათ დალუპა ამ დიდწყლობამ.

„ეს უბედურობა როგორც გაიგო პოლიციამ, მოახდინა სასტიკი განკარგულება და გადმოხეთქილი წყლები რამდენიმე საათის განმავლობაში მთლათ გააკავა ესე, რომ დღეს (6 დეკმ.) ცვარი წყალი აღარ გადმოდის იმ ალაგებიდამ. უკეთუ ეს სასტიკი განკარგულება არ მოეხმარა პოლიციას, ადვილათ საფიქრებელი იყო მთელი ფოთი გაიმსებოდა წყლითა და სხვა დიდ ზარალსაც მოახდენდა.

„როგორც ნათქვამია, „თავათ არ იყო ძმარიო, ზედ დაურიეს წყალიო,“ —ამ ჩვენს ფოთს ისე დაემართა: თავათ დიდი ხნის წვიმებისაგან ქუჩები მთლათ წამხდარი გვქონდა და ახლა ამ წყალმა სულ ბოლო მოუღო.“

---

ფუძნებულა სისწორე, მინდობილობა და უეშმაკობა. პირი და ნამუსი იყო სიცოცხლე ქიზიყელისათვის: იმმათთვის ის გაისყიდდა თავს, გაჰქრებოდა, განადგურდებოდა, თავს ჩამოიხრჩობდა.

იყო დრო....

— ეხ, ჩემო ძმაო, მეტყვიან ზოგნი, მაგის მეტი კი არ ყოფილა რამე?!...

— მართალია, ჩემო საყვარელო, ბევრი რამ ყოფილა, მაგრამ მაინც ხომ ყოფილა, ეხლაც ხდება ბევრი რამ გასაკვირველი და, როგორც სჩანს, მომავალშიაც უფრო უარესი მოხდება...

***

გახსოვთ შილიონის ტუსაღი? ის დაამწყვდიეს სრულებით უბრალოთ საშინელ ციხეში, სადაც შეეძლოთ ცხოვრება მარტოკ თაგვებს და ბეღურაებს. იმან დამარხა იქ საძაგელ სატუსაღოში თავისი ორი ძმა, იყო თვითონ ჯაჭვით ბოძზედ მიკრული ასე, რომ როდესაც უკვდებოდა თავისი საყვარელი პატარა ძმა, არ შეეძლო მისულიყო მასთან, დევგულებინა, ეცა ნუგეში, დაეკოცნა მომაკვდავი თვალებში და მერე დეეხუჭნა იგინი. გახსოვთ რამდენი წელიწადი გაატარა იმ უბედურმა ამ უსინათლო კეკუმეთში და როცა ბოლოს ის გამოუშვეს ამ საპყრობილედამ, მისცეს მზის შუქი, წმინდა ჰაერი და თავისუფლება, იმან დაიწყო ნაღვლობა თავის საპყრობილეზედ და თხოულობდა, რომ ისევ ჩაესვათ იმ ჯოჯოხეთში? რა იყო ამისი მიზეზი?

— ჩვეულობა.

ქიზიყი შესჩვევია თავის უბედურობას...

***

პირველს და უმეტესს ჭირს და უბედურებას ქიზიყისას, როგორც მე შევნიშნე, შეადგენენ თვითონ სოფლილნი გაკეთებულნი გლეხები.

თქვენ არ იცით—რას ნიშნავს ქიზიყელი გაკეთებული გლეხი? ეს არის წურბელა, რომელიც დღე და ღამე, დილით და საღამოთ, ყოველ დროს და ყოველ ალაგს სწოწნის სისხლს თავის მახვერპლისას და რაც მახვერპლი უფრო და უფრო სუსტდება და თვითონ კიდევ კუჭი ევსება და ევსება, იმთენი იმის გამგელება არ იცის გაძღომა. ქიზიყელი გლეხი არის გაკეთებული არამცთუ შედარებით გლეხთანვე, არამედ შეუდარებლივ, საზოგადოთ. სახლი იმას უდგა ორ და მეტ ეტაჟიანი, ოთახებით, პოლით, ლამფით მომართული, თუმცა აბლაბუდეს და მჭვარტლს უჭირავთ არა უკანასკნელი ალაგი; იმას შეუძლიან გაუჭირებლივ გამოიტანოს თავის სახლიდგან ერთბაშათ ხუთასი თუმანი ხმელი ფული და კიდევაც მეტი, თუმცა ამ ფულს თიხის კოჭბიდგან წამოჰყრის; იმას ჰყავს რამდენიმე ათასი ცხვარი და ღორი; ფურკამბეჩობას სთვლის ასობით; ძროხას ხუთასობით; ნახნავს დღიურობით კი არა გუთნობით და ალოობით; ქირას იღებს ურმობით კი არა—ალლობით; ყველიერში სახლის რძლები ერთმანეთს სათამაშოთ ერბოს გუნდებს ესვრიან (ხუჭულაანი); ამბარი არის სავსე ისე, რომ რძალს შეუძლიან მოიპაროს და გაყიდოს სიღნაღს, ხორბლათ და გამომცხვრად, და ასე გაიკეთოს სათავნო, რომელით ხანდისხან ას-ას თუმნამდე ადის. ერთის სიტყვით გაკეთებული ქიზიყელის ოჯახი დუღს და გადმოდის.

რამ გააკეთა ეს ასე? განა სხვა გლეხები ერთსა და იმავე ადგილს არა სცხოვრობენ მასთან, ერთი და იგივე მიწა - წყალით არა სარგებლობენ?...

***

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ქობულეთი, 2-ს ქრისტეშობისთვეს.**

— ძიავ, ქობულეთის ამბავი აქამდი ვერ გაცნობეთ იმიზა, რომ შესანიშნი არა იყო-რა. ქობულეთში რომ ახლა მშვიდობიანობა არის, ამისთანა მე არ მახსოვს. არც კაცს კვლაა და არც ქურდობა. სამართალი სად არის, მარა არც უსამართლობა არის.

რავარ ინატრის, ძიავ, კაცმა ჩხუბობა, თვარა, ვალახა, (ღმერთმანი) ჩვენ კი შეგვასვენა ამ ხმამა. მარა ვაი ამ შესვენებას! თუ დასტურ ჩხუბი იქმნა, იმფერი ხმაი არის ჩვენში, რომ ჩვენისთანა საცოდავი ქოფაქიც (ძაღლიც) არ იქნება: რუსის ჯარი წყალისავით გარდმოიარსო, და ამ ხმაის, ძიავ, ჩვენისანა ფუხარა კაცს არა, ჩვენს უფროსებსაც ეშინია.

ქობულეთში, ძიავ, ვინც დიდკაცობა არის, რაც ძვირფასი ნივთები ქონდათ ან მძიმე-მძიმე საქონელი, ალარ დაუყენებიათ, სიმაგრე არდგილისკენ გასწიეს, ცახისძირს გარდმოლმა. მანამდოულებ უშიშრათ საქონელს ვერ ვაბალახებთ, უცფათაი არ დაგვეცენ თავზედ, გვეშინიან.

ჯარები ჯერ ჩვენში რაც იყო იმაზედ ერთიც არ მოუმატნიათ; ბათუმში კი მოვიდაო, ძიავ, ოთხი ბინი (4 ათასი) კაციო, და ორი ბინი კიდო გუშინ უნდა მოსულიყოვო.

ჩვენი ალი-ფაშა თავდგირიძე სოფლად არის, ძიავ, ერთი კვირე არის და ბაშიბოზუღებს სწერს, ორი ბინი კაცი უნდა გამოიყვანოსო. ფაშს, ძიავ, მირალობა მოუვიდა, რაც ჩვენში ჯარები იქმნება, იმის უფროსი იქმნებაო, და სხვა ბეგიები თავდგირიძენი ოსმან და მურად ბიმბაშად იქმნებიანო, ათას-ათასი კაცების უფროსათაო.

სხვა რა გითხრა, ძიავ? ხაფისხანაში (სატუსაღოში) ვინც ხაფისხები (ტუსაღები) იყვნენ, ყველანი გაუშვეს, ფირალები ვინც იყო, ყველანი შეირიგეს და მოვიდენ.

ამას წინეთ, მოვიდა ჩოლოქის პირზედ გრიგოლ გურიელი; იქედგან ჩვენი ბიმბაში მივიდა, მეც იქნეი ვიყავი. ბევრი ილაპარაკეს და რაც მე გევიგონე გრიგოლ ელაპარაკებოდა ჩვენს ბიმბაშს, ამ სამღვარზედ თქვენი ყარაული რომ არის, იმათ ძალიანი დარიგება მიეციო, ფრთხილათ იყვენო, ახლა ჩხუბის ხმაი არის და ავაზაკი კაცები თავს აიწევენო და ბევრს ცუდს საქმიებს იზმენო, თქვენს კაიმაკამსაც (მაზრის უფროსსაც) უთხარიო, თქვენში ვინც ავი კაცები არის, ყველანი იცი-თქო და თვალყური დაიკავე თქო; შეაშინე და უთხარი, რომ ცუდი არაფერი არ ჰქნანო. ამას გარდა კიდო ბევრი ილაპარაკეს, მარა მე არ გამიგონია. მარა აგი კი ვიცი, ცუდს არაფერს არ იტყოდა, ყოლი კაციზა კაი უნდა და ყველაი ყცოდება, უფრო ფუხარა კაცები, ძიავ, ღმერთმა დაუმადლოს.

ჯერ ასთეა, ძიავ, აგი და აწი რაც იქნება, ვნახავთ.

ამასაც ვეტყვი, ძიავ, მეც ქობულეთელი ვარ, მარა მართალი უნდა თქვა კაცმა: აგი ერთი კვირე არის, ქურდობა უფრო დეიწყეს ქართველიდგან; მოყავენ ცხენები, ხარები; ქართველებიც მოზდევენ, მარა გამარჯვება მათი მღვთის ხელთ არის, ძიავ.

ძალიანი მაკვირებს და დასახედავიც არის, ახლა რომ ავდრობა არის და წყლების გარდარება, ისრეი იყო უწინდელ ჩხუბობაზედაც. მგებ ჩხუბები რომ იქნება, იმიზდა არის აგი!..

გ. ნ—შვილი

# რუსეთი

პეტერბურღიდამ მოსული ტელეგრამმა გვაცნობებს: „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი: ყაზანის სობოროში წირვის დროს, 6 დეკემბერს, ახალგაზდების ყრილობა'ა არეულობა მოუხდენია; წირვის შემდეგ ეს ახალგაზდები გამოვიდნენ სობოროს წინ მეიდანზე, სადაც ერთმა იმათგანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლის შემდეგაც გაშალა წითელი დროშა ზედ წარწერით: „მიწა და განთავისუფლება!“ რადგან საშინელი ხმაურობაა და ყვირილი ამტყდარა, დასამშვიდებელათ გარეულა პოლიცია, მაგრამ პოლიციისათვის წინაალმდეგობა გაუწევიათ. ამასობაში პოლიციას იქ მყოფი საზოგადოებაც დაჰხმარებია, როგორც ამბობს „მმართებლობის მოამბე“, და 40 კაცი და 11 ქალი დაუტუსაღებიათ.—გამოძიება დაიწყო 1871 წ. 19 მაისს გამოცემული კანონების ხელმძღვანელობით.“

# უცხო ქვეყნები

**სტამბოლის კონფერენცია.** დაყრილი ხმა, რომ ვითომც რუსეთის ჯარის ბოლგარიაში ჩაყენებაზე იგნატიევი და სალსბიური დათანხმდნენო, ტყუვილი გამოდგა; როგორც კონსტანტინოპოლიდამ იწერებიან, ეს კითხვა კონფერენციის წინა სხდომაზე არც კი აღძრულაო.

— „ავსტრიელი საყოველთაო კორრესპონდენცია“ 1 დეკემბრიდამ გვაცნობებს, რომ, ბალკანიის პროვინციებში რადიკალური რეფორმების შემოღებაზე, სახელმწიფოების წარმომადგენელნი დათანხმდნენო. ამასთან ისიც მიუღიათ მხედველობაში, რომ ამ რადიკალური რეფორმების შემოღება და მათი სისრულეში მოყვანა ყოფილიყო კანონიერსა და ნამდვილს გარანტიებზედ დამყარებული. თუმცა ამ გარანტიებზედ ჯერ მოლაპარაკება კი არ ყოფილა, მაგრამ, იმედი აქვსთ, რომ იმის უმთავრესს მუხლებზედაც დათანხმდებიან.

— მოგვყავს, რამდენიმე საინტერესო ადგილი იმ მოლაპარაკებიდამ, რომელიც მარკიზს სალსბიურს ჰქონია ხონთქართან აუდიენციის დროს. სულთანს აბდულ-ჰამიდს, სხვათაშორის, განუცხადებია იმედი, რომ უმთავრესი სახელმწიფოების წარმომადგენელნი სტამბოლის კონფერენციაზე ბოლოს მოუღებენ ოსმალეთის შინაგან უთანხმოებას; რომ კონფერენციაზე ეს ხსენებულნი წარმომადგენელნი არ წარმოადგენენ იმისთანა წინადადებებს, რომლის გარდაწყვეტით და სისრულეში მოყვანით ოსმალოს ქვეშევრდომებთ შორის უთანასწორობას და ამის გამო უთანხმოებას აღძრავს. „ჩემი გულითადი სურვილი არის, უთქვამს შემდეგ აბდულ-ჰამიდს, რომ ყველა ჩემი ქვეშევრდომნი, თათარი არი, ბერძენი, ბოლგარიელი, თუ სხვა — ყველა ერთსა და იმავე კითხვას და სახელმწიფო დაწყობილებას ექვემდებარებოდნენ და მორჩილობდნენ.

„მე იმედი მაქვს, უთქვამს ბოლოს სულთანს, რომ კონფერენცია ყველაფერს ამას მიიღებს მხედველობაში.“

—ნემეცური „ნაციანული გაზეთის“ კორრესპონდენტი ამბობს, რომ ინგლისის მმართებლობას მოსვლია ვრცელი წიგნი სალსბიურისაგან ამისა და იგნატიევის მოლაპარაკების თაობაზე. როგორც კორრესპონდენტი ამბობს, მესაუბრეები შეთანხმებულანო ყველა იმ კითხვებზე, რომელნიც თავათ სტამბოლელს კონფერენციას ექვემდებარებაო განსახილველათ.—კორრესპონდენტისავე სიტყვებით ამ მოლაპარაკების დროს ამ ორთ წარმომადგენელთ ვითომც იმის პროგრამმაც შეუდგენიათ-თუ რა-და-რა პირობებზე უნდა მოხდეს ოსმალოსა და მის წინაალმდეგ აჯანყებულთ ქვეშევრდომებს შორის მორიგებაო. პირველი ადგილი ამ პროგრამმაში უჭირავს—სერბიის სათავადოს ხელ-უხლებლათ დარჩენას და ჩერნოგორიის კი ზოგიერთი სამზღვრების შემატებას.

—

**ოსმალეთი.** სტამბოლიდამ 11 დეკემბერს მოსული ტელეგრამმა ამბობს: დღეს კონფერენციის სხდომების ოფიციალურად გახსნასთან, ოსმალოს მმართებლობამ თავის ახალი კონსტიტუციაც გამოაცხადა. ამ კონსტიტუციაში სხვათაშორის ნათქვამია, რომ ოსმალოს იმპერია ერთი და განუყოფელია, ოსმალოს ქვეშევრდომთ ეძლევათ პოლიტიკური უფლებები და თავისუფლება ისე, როგორც ამით დასავლეთი ევროპის ზოგიერთნი ხალხნი სარგებლობენ. შემდეგ ოსმალოს ქვეშევრდომებთ ეძლევათ თავისუფლება სარწმუნოებისა, თავისუფლება ბეჭდვისა, ყრილობებისა და სხვა და სხვა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების შედგენისა. კონსტიტუციის ძალით ოსმალოს ქვეშევრდომთ, სარწმუნოებისა და შთამომავლობის დაუხედველათ, შეუძლიანთ ყოველგვარ სამსახურში

---

მე დავსვი კითხვა და თუმცა არა ვარ ეკონომისტი და ამასთან ვსწერ მხოლოდ გაკრულს შენიშნვაებს, მაგრამ შემიძლიან მივცე მკითხველს ჯეროვანი პასუხი. ეს ხდება საზოგადოთ ასე:

დაუძველდა ერთხელ როგორმე გლეხს პური და ღვინო და ამასთან საზოგადოთ არ იყო მოსავლიანი წელიწადი. (ამისთანა წელიწადები, როგორც ყველამ იცის, ქიზიყში ამ თხუთმეტ-ოც წელიწადში ძრიელ ხშირია). დადგა გაზაფხული და არსად არის არც პური და არც ღვინო. რა ქმნას საწყალმა ნაკლულმა გლეხმა? ვის მიმართოს? რა თქმა უნდა, შეძლე მეზობელს. მქონიერი მეზობელი აძლევს, მაგრამ იმ პირობით, რომ კალოობაში ერთი კოდის მაგივრათ აწყოს კოდ-ნახევარი ან ორი კოდი.

„გაჭირება მიჩვენე, მე გაქცევას გიჩვენებო“. საწყალი იღებს და კიდევაც რა თქმა უნდა, რომ გაზაფხულზე კი არა, შემოდგომაზედვე აკლდება. ისევ მიდის იმასთანვე; ეღრიჯება. ისიც აძლევს და, თუ შეჰხვდა ხელათ ცოტაოდენი ფული, ვთქოთ ერთი თუმანი, რჩეულობს ფულის მიცემას; ამ ერთი თუმნით იკვეთავს ერთს საპალნე ღვინოს. საწყალის ვენახი არ არის დიდი, წელიწადში საზოგადოთ იმას გამოუვა ერთი ცალი ღვინო, მაგრამ ეს ღვინო არის პასუხის-მგებელი არამც თუ მარტო მოვალისა, არამედ სიკვდილისა, სიცოცხლისა, ერისა, მღვდლისა და უმეტესად ხელმწიფის.

შეაწერეს ფოშტის ფული, ჩაუდგა ზეკუცა. ყოველ დღე ნელა-ნელა ეზიდებიან გარეთ, რაც კი რამ აქვს სახლში და აგირავებენ დუქანში. შევიწროებულს გლეხს ავიწყდება თავის მყლაპავი, ჰყიდის ჩაფს ორ მანეთიან ღვინოს შვიდ აბაზათ და იშოვებს ფოჩტის ფულს და მოვალეს და მოვალეს კიდევ უწერს ახალს თამასუქს, რომელშიაც მისაცემი 15 ჩაფი ღვინო ჩაფი 2 მანეთათ ფასდება და ასე ხელ-ახლათ გირავდება სამ საპალნე ნახევარი ღვინო. მაშ სადამე ერთი თუმანი ერთის წლის განმავალობაში ხდება ათ თუმან ნახევრათ...

ამბროსი დავითაშვილი

(გაგრძელება)

მიღებულნი იქმნენ: პარლამენტი შესდგება ორი კანონთ-მდებელი პალატისაგან, რომელთაც ეკუთვნისთ სახელმწიფო ხარჯის დადგენა და ყოველგვარი კანონის გამოცემაც. ამ პარლამენტის წინ მინისტრები პასუხის მგებელნი არიან. საკუთრების ხელ-უხლებელობაც დაცულია ამ კონსტიტუციის ძალით.

## ნარევი

„ნემეცურს გაზეთში" არის კონსტანტინოპოლიდამ ერთი საინტერესო კორრესპონდენცია დაბეჭდილი, რომლიდამაც ამოგვაქვს ზოგიერთი ალაგები სტამბოლის კონფერენციის შესახებ.

კონფერენციის სხდომები, როგორც გაზეთებიდამ ვტყობულობთ, იგნატიევის სადგომში იქნებაო. ამ სხდომებისათვის ერთი საუკეთესო ზალა სადგომისა ამჟამათ მზათ არის კიდეცა; შუა ზალაში დგას თურმე ერთ დიდი მშვენიერათ მორთული სტოლი, რომლის გარშემო უნდა ისხდნენ უმთავრესი სახელმწიფოების ცხრა წარმომადგენელნი. პირველს ადგილს დაიჭერს ლენ. იგნატიევი, როგორც ერთი რომ მასპინძელი და მეორეთ როგორც უფროსი სტამბოლის დიპლომატიური კორპუსსა. იგნატიევის იქით-აქეთ ისხდომებიან ინგლისის წარმომადგენელნი—მარჯვენით სალსბიური და მარცხნით ჰენრი ელლიოტი; ამათ გვერდით შემდეგ ჩამორიგდებიან წარმომადგენელნი ავსტრო-ვენგრიისა—გრაფი ზიჩი და ბარონ კალიჩი; საფრანგეთისა—ბარონი ბურგოენი და გრაფი შადორდი; გერმანიისა—ბარონი და გრაფი ვერტერი და ბოლოს იტალიის წარმომადგენელი გრაფი კორტი.

* * *

ვაშინგტონიდამ იწერებიან, რომ დოკ. ლემუანისაგან გამოგონებულს მაშინას მიცვალებულების დასაწველათ, ამჟამათ დაუწყნარებელი მუშაობა აქვსო. სხვათა შორის ამას წინეთ, ერთი ბარონის გვამი დაუწვავთ, რადგან თავათ იანდერძაო, რომ სიკვდილის შემდეგ დამწვითო.

— ადამიანების დასაწველათ არა, და ჩვენს ქალაქს რომ ეს მაშინა „მიცვალებული" ძაღლებისა და ვირთაგვების დასაწვავათ მისცა, ურიგო არ იქნებოდა....

* * *

სხვა ქვეყნებთ შორის პარიჟის მსოფლიო გამოფენაში აზიიდამ 1878 წ. მონაწილეობის მიღებაზე ავღანისტანს და ბირმანს გამოუცხადებიათ სურვილი. ამერიკიდამ—პატარა რესპუბლიკებს: ნიკარაგუას, პარაგვაის და ურაგვაის—თავიანთი წარმომადგენლების შუამდგომლობით უთხოვნიათ საფრანგეთის მართებლობისათვის, რომ იმათ ქვეყნების ნაწარმოებისათვისაც მიეცათ ადგილი ამ გამოფენაზედ.—საფრანგეთის მართებლობაც დიდის კმაყოფილებით დათანხმებულა მათ თხოვნაზე.—გერმანიამ კარი ოფიციალურათ განაცხადა უარი პარიჟის გამოფენაში მონაწილეობის მიღებაზე და იმ მიზეზითო, როგორც ფრანცუზული გაზეთები ამტკიცებენ, რომ აქაც ისე არ ჩაჩრდილონ მათი ნაწარმოები, როგორც ამ წლის ფილადელფიის მსოფლიო გამოფენაზე ჩაჩრდილეს.—„რაში გამოიყენა გერმანიამ ჩვენი ხუთი მილლიარდიო, ამბობენ ეს გაზეთები, თუ მართლა ამის ეშინიანო?!"

## განცხადებანი


LA VELOUTINE
(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფაი — გამომგონი

pommade satin
(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—88

დაიბეჭდა და ისყიდება
თამარ საქართველოს ბატონიშვილი
ისტორიული რომანი
გ. რჩეულოვისა.
ტფილისში: მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და ენფიაჯიანცის წიგნის მაღაზიაში.
ფასი ყველგან ექვსი შაური.

წალკოტი
თქმული
დავით გივიშვილისაგან
ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

საუკეთესო საშუალება
თაგვების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად
რის ბუტმანი, ქიმიკოსი პეტერბურგში,

იმპერატორის სასახლის მეიჯარადრე
რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყნების სასახლეებიდგან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.



1872 წლის მოსკოვის პოლიტექნიკურ გამოფენის დროს ამ საშუალების გამომგონისათვის, დიდი ვერცხლის მედალი მიეცა და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

გამომგონი პასუხს აგებს.

ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.



პრეის-კურანტი:

წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის—1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წამალი—1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ.

დაბებრებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა—60 კაპ.



უმთავრესი დეპოარის ტფილისში, დვორცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვლადიკავკაზში, სეგალთან, ალექსანდროვსკის პროსპექტზე, ლებედევის სახლში; სტავროპოლში—კურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. აქვე ისყიდება თმის სალებავი. 54—37

გამოვიდა ბეჭდიდამ შემოკლებული მხედრული ლოცვანი გამოცემული მღვდლის დ. ღამბაშიძისაგან და ისყიდება ტფილისში: ვართანოვის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში: სიმონ ჩომახიძის ტიპოგრაფიაში და დ. ყვირილაში თვითონ გამომცემლის მღ. დ. ღამბაშიძესთან.

ლოცვანის შინაარსია:
ა) დილის ლოცვანი,
ბ). საყოველდღეო ლოცვანი,
გ). ლოცვა ძილად მისვლისა,
დ). ლოცვანი და კეთილნი გულის.
ე). ზრახვანი მოსმენის დროს წირვისა.
ვ). მცირე სერობა,
ზ). პარაკლისი ღვთის მშობლისა,
ე). სრული თვეთა მეტყველება და
თ). მოკლე ხელთა ჩშ წლამდე.

ფასი ყველგან ერთი აბაზი


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ—ხუთშაბათს დილით.
სტამბოლს—კვირაობით, დილას.
ბ) ოდესსიდამ:
ფოთისკენ—ხუთშაბ., ნასად. 3 საათ.
სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) ტფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს—პარასკ. და ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს—სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:
ტფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გორიდამ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 2 დეკემბ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^1/_2$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $303^1/_2$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | $7^1/_2$ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 93 | 25 |
| მოგებიანი (პირველის სესხი) | 179 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 173 | 50 |
| ბირაოს ფურცლები: | | |
| ტფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 79 | 75 |
| მოსკოვის (5%). . . . | 81 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 250 | — |
| ფოთი-ტფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 470 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 206 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 720 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 240 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 269 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| ტფილისი, 14 დეკემბ. | | |
| პური შორაგალის ფთ. | 1 | 40 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 90 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 20 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 5 | 60 |
| ბაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | — |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 40 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 50 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 50 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 55 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 20 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 80 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 7 | 20 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | 20 |
| ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. . | 6 | 70 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Декабря 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.